მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სამუშაოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 1949 წ. № 23 (8326). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში.

საქართველოს ბოლშევიკთა ვალდებულება ბელადის წინაშე—მოწვნავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვერდი).
ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა — კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო (მე-2 და მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები. (მე-4 გვერდი).

საქართველოს ბოლშევიკთა ვალდებულება ბელადის წინაშე

ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში XIV ყრილობას და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინს.

ეს დოკუმენტები არა მარტო იძლევიან იმ მუშაობის ნათელ და ზუსტ შეფასებას, რაც საქართველოს ბოლშევიკებმა გასწიეს XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე განვლილ პერიოდში, არამედ, ამასთან ერთად, სახავენ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მთელი ქართველი ხალხის მუშაობის გაშლილ პროგრამას უახლოესი წლებისათვის.

ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის განვითარება. ამის შედეგად მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 1948 წელს 29,5 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ, 1940 წლის დონეს. ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა შესრულებულია 112,2 პროცენტით. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების დამახასიათებელ თავისებურებას მიმდინარე ხუთწლედში წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის — შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, ავტომობილმშენებლობის, მსხვილი ჰიდროენერგომშენებლობის მძლავრი განვითარება. წარმატებით მიმდინარეობს ამიერკავკასიის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის — საქართველოს მრეწველობის ამ ორი უდიდესი კიბანტის მშენებლობა, სწრაფად იზრდება ქვანახშირის, მარგანეცის ამოღება, მკვეთრად დიდდება ელექტროენერგიის გამომუშავება. მრეწველობის ყველა დარგი აღმავლობას განიცდის.

მრეწველობის განვითარების დარგში მიღწეულმა შედეგებმა შესაძლებლობა მისცა ყრილობის დელეგატებს მიეწერათ დიდი სტალინისათვის:

„ისწრაფვიან რა რაც შეიძლება უფრო სრულად განახორციელონ თქვენი ისტორიული მითითებანი სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი მძლავრი აღმავლობის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები კისრულობენ:

გავადიდოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 1958 წლისათვის 193.000 ტონამდე, ნაცვლად 1948 წლის 46.600 ტონისა — იმ ვარაუდით, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ სამამეული წარმოების ჩაით. ამ მიზნით აღნიშნულ პერიოდში ჩვენ გავაშენებთ 25.000 ჰექტარ ჩაის ახალ პლანტაციას და სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეული ჰექტარის საშუალო მოსავლიანობას გავადიდებთ ერთისამად და უფრო მეტად.

გავადიდოთ ციტრუსოვანთა პლანტაციების მოსავლიანობა იმდენად, რომ 4-5 წლის შემდეგ სახელმწიფოს ჩავაბაროთ ყოველწლიურად 2-2,5 მილიარდი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი და 1955 წლისათვის ციტრუსოვანთა ბაღების ფართობი საქართველოში გავადიდოთ 40.000 ჰექტარამდე. ამ მიზნით თვითეული ციტრუსის ხეს მოსავლიანობას გავადიდებთ საშუალოდ ერთისამად და უახლოესი 7 წლის განმავლობაში გავაშენებთ 17.500 ჰექტარ ციტრუსების ახალ პლანტაციებს.

გავადიდოთ ვენახის საერთო ფართობი 1955 წლისთვის 75.000 ჰექტარამდე, ნაცვლად 1948 წლის 50.000 ჰექტარისა, და ყურძნის დამზადება — 100.000 ტონამდე.

გავადიდოთ თამბაქოს მოსავლიანობა 1951 წლისათვის 30 პროცენტით 1948 წელთან შედარებით, იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ყოველწლიური ჩაბარება ავიყვანოთ 20.000 ტონამდე.

გავადიდოთ უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 35-40 პროცენტით, ხოლო სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება სულ ცოტა ერთისამად 1948 წელთან შედარებით.

ძთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დარგის შემდგომი განვითარების სახელმწიფო დავალებანი".

„ეშმარტად დიდი, გაბედული ვალდებულებაა! ასეთი ვალდებულების აღება შეუძლიათ მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილ ადამიანებს, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ადამიანებს, რომლებიც არასოდეს არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და სულ წინ მისწრაფვიან ახალ, უფრო დიდ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ ასამაღლებლად.

ბელადის წინაშე ნაკისრ კამ დიდ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება მოიჯახოს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის დაუღალავ მუშაობას, მთელ არსებულ შესაძლებლობათა უნარიანად გამოყენებას, სიძნელეთა და დაბრკოლებათა ბოლშევიკურად გადალახვას.

საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკოვანმა მოგვითხრა:

„თუ არ შეეფინდებით სიძნელეებს, არ დაკმაყოფილდებით მიღწეულით, არ გამოვიჩენთ ბოლშევიკებისათვის უცხო მიდრეკილებას „მყუდრო ცხოვრებისადმი" და ვიმეშავებთ უნარიანად და ბეჯითად, გეგმით დასახული ეს ამოცანები განხორციელდება".

საქართველოს ბოლშევიკები, რომლებსაც გავლილი აქვთ მუშაობისა და ბრძოლის დიადი ისტალინური სკოლა, უეჭველია, არ შეუფინდებიან სიძნელეებს, არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით, იმეშავებენ უნარიანად და ბეჯითად და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დარაზმავენ მასებს დიდი სოციალისტური ამოცანათა სიტყვის შესასრულებლად, ყრილობის მიერ დასახულ ყველა ამოცანათა წარმატებით განსახორციელებლად.

ლებლობა მისცა ყრილობის დელეგატებს მიეწერათ ამხანაგ სტალინისათვის:

„ისწრაფვიან რა რაც შეიძლება უფრო სრულად განახორციელონ თქვენი ისტორიული მითითებანი სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი მძლავრი აღმავლობის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები კისრულობენ:

„საქართველოს ბოლშევიკების პირობას დებენ თქვენს წინაშე, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ომისშემდგომ ხუთწლედს მიმდინარე წელს შეასრულებს".

ეს დიდი ვალდებულებაა. მისი შესრულება საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან, მთელი ქართველი ხალხისაგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, დიდ ორგანიზებულობასა და სიმტკიცეს, ყველა და ყოველგვარი სიძნელის გადალახვას.

ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში განუხრელად ვითარდებოდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის ძვირფასი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა. გამმტკიცდნენ და გაძლიერდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. თვალსაჩინოდ ამაღლდა კოლმეურნე გლეხობის მატერიალური და კულტურული დონე. მძლავრი აღმავლობის გზაზეა ჩვენი სუბტროპიკული მეურნეობა. 1948 წელს მოკრეფილია 46.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 11.052 ტონით მეტი, ვიდრე 1947 წელს, მიუხედავად ძლიერი ყინვისა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ციტრუსოვანთა მოსავალი აფხაზეთში. 1948 წელს მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 695,5 მილიონზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 270 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გაშენდა 3.447 ჰექტარი ლიმონისა და ფორთოხლის ახალი პლანტაცია. დიდდება ჩაის პლანტაციების ფართობი და მოსავლიანობა, ვითარდება მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა, მეჭარხლეობა, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა. მარცვლეული კულტურების ფართობის გადიდებასთან ერთად ამ კულტურების საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 1948 წელს 12,4 ცენტნერს მიაღწია, ნაცვლად 1940 წლის 8,1 ცენტნერისა.

სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში მიღწეულმა შედეგებმა შესაძ-

მიჩურინელი მევენახე

მოსკოვის ოლქის ბალაშიხინის რაიონში არის ვაზის მდიდარი კოლექცია, რომელიც მიჩურინელმა მცდელმა ვ. ი. ევდოკიმოვმა შეაგროვა და გამოიყენა. ამ ძვირფასი მცენარის ჯიშები ჩატანილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან: მიჩურინსკიდან, შუა ვოლგისპირეთიდან, ყირიმიდან, უკრაინიდან, შუა აზიიდან, შორეული აღმოსავლეთიდან.

ორმოცდაათი წელია მუშაობს ევდოკიმოვი ჩრდილოეთის მევენახეობაში. მან შეძლო მოეხდინა აკლიმატიზაცია და გამოეყვანა რამდენიმე ჯიშის ვაზი, რომლებიც უკვე მრავალი წელია უხვ და მყარ მოსავალს იძლევიან მოსკოვთან. მიჩურინელი მცდელის გამოყოფილ ჯიშებს გაძლიერებით ამრავლებენ. მისი ლეგრუნი შარშან ჩვენი ქვეყნის ცენტრალური ზონის 19 ოლქს გაეგზავნა.

ევდოკიმოვის ნაკვეთის გვერდით შეიქმნა მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის „მაგარაჩის" მოსკოვის ფილიალის ფაბრიკა პუნქტი. იქ რამდენიმე ჰექტარ ფართობზე გაშენდა პირველი დიდი ვენახი. წელს დასაყრდენი პუნქტი ათასობით ნერგს გადასცემს მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

(საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ)

ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ მოსკოვის რეკონსტრუქციის ათწლიანი (1936-1945 წლების) გეგმის მიღების დროიდან დიდი მუშაობა შესრულდა სსრ კავშირის დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და განვითარების და უძნიშნელოვანესი მაგისტრალებისა და მოედნების ხელახლა დაგეგმვის საქმეში.

ათწლიანი გეგმის დავალებანი გაზომმარაგების, მეტროპოლიტენის განვითარებისა და ხიდების მშენებლობის დარგში შესრულებულია გადაჭარბებით. მოსკოვის საქალაქო მეურნეობის ძირითადი დარგების ომამდელ დონემდე აღდგენის დამთავრებასთან დაკავშირებით შექმნილია საჭირო პირობები წყალმომარაგების, კანალიზაციის, საქალაქო ტრანსპორტის განვითარების დარგში, სანაპიროებისა და გაუმჯობესებული გზების, სკოლებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენებლობაში გენერალური გეგმის დავალებათა შესასრულებლად.

მიიღეს რა მხედველობაში, რომ უახლოეს 3-4 წლის განმავლობაში შესრულდება მოსკოვის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციის ათწლიანი გეგმის ძირითადი დავალებანი და რომ დედაქალაქის შემდგომი რეკონსტრუქცია უნდა ხორციელდებოდეს მეცნიერულად შემუშავებული გეგმის საფუძველზე, რომელიც ასახავს სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. საჭიროდ იქნას ცნობილი მოსკოვის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შედგენა, რაც გათვალისწინებული იქნება დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის—20-25 წლისათვის.

2. ნება დაერთოთ მოსკოვის საბჭოს აღმასკომსა და საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტს შეუდგნენ მოსკოვის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შემუშავებას.

3. დაეკალოთ მოსკოვის საბჭოს აღმასკომსა და საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტს 1949 წლის 1 ოქტომბრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დასამტკიცებლად წარმოადგინონ დირექტივები მოსკოვის რეკონსტრუქციის 20-25 წლის გენერალური გეგმის შესადგენად.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 31 იანვარს მოხდა ა. ა. ფადეევის თავმჯდომარეობით, სექციების ხელმძღვანელებმა გააკეთეს მოხსენება პრემიების მისაღებად წარმოდგენილ ნაწარმოებთა განხილვის მსვლელობის შესახებ.

აკადემიკოსმა ი. ე. გრაბარმა იმ სექციის სახელით, რომელსაც იგი მეთაურობს, კომიტეტის პლენუმის განსახილველად წარადგინა ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურისა და დეკორაციული ხელოვნების 77 ნაწარმოები.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილემ ნ. ს. ტიხონოვმა ლიტერატურის სექციის სახელით კომიტეტს აცნობა, რომ შემოსულია მხატვრული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის დარგის 83 ნაწარმოები, რომლებიც პლენუმმა უნდა განიხილოს.

30 სიმფონია, კანტატა, ორატორია, ოპერა, ბალეტი, კონცერტი, მცირე მუსიკალური ფორმის ნაწარმოები და შემსრულებელი შეარჩია სექციამ, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გენერალური მდივანი ტ. ნ. ხრენიკოვი.

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრმა ი. გ. ბოლშაკოვმა გამოაქვეყნა სია 18 მხატვრული და დოკუმენტალური ფილმისა, რომლებიც კინოს სიქციამ განიხილა და რეკომენდაცია მისცა.

უახლოეს დღეებში კომიტეტის წევრები გაემგზავრებიან მოკავშირე რესპუბლიკებსა და რსფსრ ცალკე ქალაქებში იმ სპექტაკლების დასათვალიერებლად, რომლებიც ადგილობრივმა საზოგადოებრივმა და სამეცნიერო-შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს სტალინური პრემიების მისაღებად. (საკდესი).

ლენინის ნაწარმოებნი ყაზახურ ენაზე

ალმა-ატა. (საკდესი). ყაზახეთში გამოცემულ ლენინის ნაშრომთა საერთო ტირაჟი 1 მილიონ ცალს აღემატება. გამოშვებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა ექვსტომეული. ცალკე წიგნებად გამოიცა: „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?", „რა გაკეთოთ?" „სახელმწიფო და რევოლუცია", „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და მთელი რიგი სხვა ნაწარმოებნი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★

სახალხო სასამართლოების

არჩევნების წინ

ამომრჩევლთა შეხვედრა სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებთან

კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში შეიკრიბა თბილისის მოლოტოვის რაიონის სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 13 საარჩევნო ოლქის სამასზე მეტი ამომრჩეველი.

სიტყვას ამბობს სამგორამშენის უფროსის მოადგილე ამხ. ა. ოჩიგავა.

— ოჯახიკიძის სახელობის ბანკის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრებებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დასახელეს ამხ. აპოლიტე ტარიელის-ძე გვათუა. იგი მუშაობს მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლედ, დაესრულებულ მოვალეობას გულისხმიერად და ეროვნულად ასრულებს. ამხ. ოჩიგავამ ამომრჩეველებს მოუწოდა მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატს — ი. გვათუას.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსმა ამხ. ს. ჭელიძემ, უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. მჭედლიძემ, დიასახლისმა თ. მეტრეველიმ, ვარაზაშვილმა და სხვ. ისინი ახასიათებენ სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს. სახალხო მსაჯულთა კანდიდატებმა შ. ხოხიაშვილმა, ჩაჩუამ და სხვ. მადლობა გადაუხადეს ამომრჩევლებს და პირობა მისცეს მათ, რომ მუდამ ენერგიულად ემსახურებიან საყვარელ სამშობლოს.

სიტყვას ამბობს სახალხო მოსამართლის კანდიდატი ამხ. ი. გვათუა.

— დიდ მადლობას გიძღვნით, — აცხადებს იგი, — იმ ძალაი პატივისათვის, რომელიც დამდეთ. მთელ ჩემს ძალასა და უნარს მოვამარ იმას, რომ გავამართლო ხალხის ნდობა.

აგიტბრიგადები ამომრჩევლებთან

გორი. (საკ. კორ.). სახალხო სასამართლოების არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა შექმნა სამი აგიტბრიგადა. ბრიგადები მოხსენებების ჩასატარებლად ვაეგზავრნენ ტყვიავის, მეჯვრისხევის და ბოშურის ზონის კოლმეურნეობებში.

აგიტბრიგადების ხელმძღვანელები შ. მახარობლიძე, ვ. ურჯუმელაშვილი და შ. ვარძელაშვილი კოლმეურნეთა წინაშე გამოდიან მოხსენებებით თემებზე: „სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატული კონსტიტუციაა მსოფლიოში", „ამომრჩეველთა უფლებამოვალეობანი".



ჟუთაისი. საავტომობილო ქარხნის მშენებლობა. ხუთათეზ: საინსტრუმენტო საამქროს სტახანოველი ა. გენიშვილი, რომელიც გეგმას 200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საპირველმაისო შეჯიბრება რკინიგზის ტრანსპორტზე

საქართველოს რკინიგზელები იწონებენ თბილისელთა თაოსნობას

სამტრედია. (საკ. კორ.). რკინიგზის თბილისის კვანძის მომართვას ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტზე საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ აქტიურად გამოეხმაურნენ სამტრედიის კვანძის საწარმოებში.

სავაგონო დეპოს კოლექტივი გულდასმით გაეცნო მომართვის შინაარსს და იკისრა 1949 წლის პირველი მაისისათვის კაპიტალური შეკეთების გეგმის გადამეტებით გამოუშვას 4 ვაგონი, საშუალო შეკეთებისა — 10, ხოლო წლიური შეკეთებისა — 12 ვაგონი; გოგორწყვილების მოხარატების გეგმა შეასრულოს 110, ხოლო ავტომუხრუჭების გასინჯვისა — 115 პროცენტით. ამასთანავე მეგაგონეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით სხვადასხვა პროფესია შეასწავლონ 10 კაცს და სახელმწიფოს მისცენ 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

სამტრედიელმა მეორთქლმავლეებმა ვალდებულება იკისრეს პირველ მაისამდე გეგმის გადამეტებით შეასრულონ ერთი ორთქლმავლის აწევითი რემონტი და 10 ორთქლმავლის გარეცხვითი რემონტი, ორთქლმავალთა სადღეღამისო გარბენის ნორმას გადაუჭარბონ 2 კილომეტრით, ტექნიკური სიჩქარე გაადიდონ ერთნაწილევი კილომეტრით, მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების 30 პროცენტით გადიდებას, დაზოგონ 200 ტონა სათბობი და სახელმწიფოს მისცენ 30 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ქიურმის დეკემბერში მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ზესტაფონის რკინიგზის სადგურის კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა. დროშის გადასაცემად მოწვეულ მიტინგზე სადგურისა და კვანძის მუშა-მოსამსახურეები გაეცნენ თბილისის კვანძის რკინიგზელთა მომართვას საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს თბილისელთა თაოსნობა საპირველმაისო შეჯიბრების მოწყობის შესახებ, აიღეს ახალი ვალდებულებანი და დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი სადგურის წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის.

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურელი რკინიგზელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისის კვანძის რკინიგზელთა თაოსნობას და იკისრეს ნახევარი წლის გეგმა ოთხ თვეში შეასრულონ; აწევითი შეკეთების გეგმის გადამეტებით გამოუშვან ორი ელმავალი, პერიოდული შეკეთებისა — ხუთი; ელმავალთა სადღეღამისო გარბენი გაადიდონ 2 კილომეტრით, ხოლო ტექნიკური სიჩქარე საათში სამი კილომეტრით; 15 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, 30 პროცენტით შეამცირონ „ავადყოფ" ელმავალთა რიცხვი, ხოლო 40 პროცენტით — ელმავლების შეკეთებაში დგომის დრო; დაზოგონ 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 60 ათასი მანეთი.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე ხაშურის საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების, სალიანდაგო დისტანციის, წევის ქვესადგურისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

გაშენდა 500 ჰექტარი ტყე

სოხუმი. (საკ. კორ.) აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო და ალპური და სუბალპური ზონები დაფარულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებით. ყოველწლიურად შენდება ათობით ჰექტარი ახალი მასივები.

მარტო სატყეო მეურნეობის ხაზით შარშან გაშენებულ იქნა 1.015 ათასი ძირი მცენარე, მათ შორის 147 ჰექტარზე ფიჭვი, 49 ჰექტარზე ევკალიპტი, 30 ჰექტარზე აკაცია და ა. შ. გაითოხნა 1.749 ჰექტარი ტყე და შევსებულ იქნა 92 ჰექტარი მასივი 177 ათასი ძირი ძვირფასი ჯიშის ხით.

მომდინარე წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება თავისუფალ ადგილებში ტყის გასაშენებლად. სანერგეებში გამოყვანილია 3.600 ათასი ძირი ნერგი და მომზადებულია გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარი ნიადაგი, სადაც გაშენდება ტყის ახალი მასივები.

უხვი მოსავლის ოსტატი

ბუჩეჯიანი. (საკ. კორ.). სოფელ კარდანახის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" კოტაკიერელ მერგოლურს გოდერძი შაიაშვილს გასულ წელს მიჩენილი ჰქონდა 2 ჰექტარი მზესუმზირას ნაკვეთი.

მერგოლურმა გ. შაიაშვილმა მზესუმზირას ნათესი გულმოდგინედ დაამუშავა და ჰექტარზე საშუალოდ 18,5 ცენტნერი მზესუმზირა მოიწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ცენტნერისა.

ელექტროსაათები რუსთავისათვის

სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ ქალაქ რუსთავისათვის ქუჩებსა და მეტალურგიული ქარხნის საამქროებში დასადგმელად გამოჰყო ელექტროსაათების დიდი პარტია.

200 ასეთი საათი დაიდგმება ქალაქის ქუჩებსა და ქარხნის საამქროებში მომდინარე წლის პირველ კვარტალში.

ეწყობა რადიოსადგური

საგარეჯო. (საეც კორ.). სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობებმა დაიწყეს მუშაობა რადიომიმღებისა და რადიოგადამცემის მოსაწყობად. სულ გათვალისწინებულია 500 წერტილის გამართვა. სადგურისათვის საჭირო აპარატურა და მოწყობილობა მოტანილია. სადგურის მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობს.

საკოლმეურნეო კლუბი

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ჯუარუყვეთის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობამ საკოლმეურნეო კლუბისათვის ააგო აფურის კაპიტალური შენობა, რომელიც 250.000 მანეთი დაჯდა. კლუბი 400 კაცს იტევს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. გ. კოკაიას სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი)

ამხანაგებო! სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი აღმავლობის საფუძველზე ქალაქის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით გააჩაღეს ბრძოლა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რენტაბელური მუშაობისათვის. ქალაქის მეტმა წილმა საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის გამოშვების 1948 წლის გეგმა. მთლიანად 1948 წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ შესრულებულია 100,6 პროცენტით. ზეგეგმითმა დაგროვებამ შეადგინა 7.600 ათასი მანეთი — 3.200 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო ვალდებულებებით. მარტო ფოთის ნავსადგურმა, რომელმაც ტვირთბრუნვის წლიური გეგმა 13 სექტემბრისათვის შეასრულა, სახელმწიფოს მისცა 6 მილიონი მანეთის ზეკანონი დაგროვება, ვალდებულებით გათვალისწინებული 2 მილიონი მანეთის ნაცვლად.

მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს რაიონში ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობებმა. 1948 წელს რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 32 ცენტნერი სიმინდი, გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად.

წლითიწლობით გადაჭარბებით სრულდება ციტრუსოვანთა, ეკალიპტუსა და სხვა სუბტროპიკული კულტურების რგვის გეგმები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის გეგმები.

ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის დაბლობის დაშრობას საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობისათვის. კოლხიდშენის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შესრულოს კოლხიდის დაბლობის დაშრობის ხუთწლიანი გეგმა. ეს ძალიან რთული ამოცანაა, მაგრამ იგი უნდა შესრულდეს.

1940 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლხიდის ფილიალმა კოლმატაციით მიღებულ მასივზე მოაწყო 1 ჰექტარი საცდელი ნაგეთი. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ამ უბანზე ნიადაგისა და ჰავის პირობები ფრიად ხელსაყრელია ციტრუსოვანი და სხვა მეტად ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად. გარდა ამისა, ფოთის რაიონში გვაქვს 2 ათას ჰექტარამდე დამშრალი, მაგრამ ჯერ კიდევ აუთვისებელი ნოყიერი მიწები. ამ მასივებზე შეიძლება მოიწყოს ახლადდასახლებულთა რამენენმე კოლმეურნეობა, აგრეთვე შეიქმნას საბჭოთა მეურნეობა მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებული დარგებით.

უგეგმო ექსპლოატაციის შედეგად კოლხიდის დაბლობის დაშრობილ მასივებზე ტუკ თითქმის მოსპობილია, რის გამო ქარი და ყინვა მკვეთრად გაძლიერდა. ეს ცუდ გავლენას ახდენს ციტრუსოვანთა და სხვა ნარგავებზე.

საჭიროა შევიმუშაოთ ქარსაცავტყის ზოლების გაშენების კონკრეტული გეგმა.

კოლხიდის დაბლობში ტყეების უსწრაფესი აღდგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკალიპტისა და სხვა სწრაფშარადი ნარგავების გაშენებას. ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითებით, ჩვენს რაიონში ფართოდ გამოყენებულია ეკალიპტის რგვა სხვა სწრაფშარად ჯიშებთან შერევით, ცალკეული კორომებისა და ტყის მასივების სახით.

სერიოზული ყურადღება ექცევა ქალაქის შემდგომ გამწვანებას და მალთაყვისა და ნაბადას მასიღებში ტყეების გაშენებას, უმთავრესად ეკალიპტის რგვით.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. მაგრამ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია. სუსტია ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა. საკმაო ყურადღება არ ექცევა საწარმოებში პარტიული ჯგუფების საქმიანობას. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში მოგვარებული არ არის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. წისქვილკომბინატისა და ქ-ოაქის სამრეწველო კომბინატის პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, საკმაოდ არ იყო გაჩაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა კადრებთან მუშაობა. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ნაკლოვანებები გვაქვს. კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისადმი უყურადღებო დამოკიდებულების შედეგად 1948 წელს შეიცვალა 121 კაცი ანუ ნომენკლატურის მუშაკთა საერთო რაოდენობის 22 პროცენტი.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა პარტიული განსათლების დარგში. 2.568 კომუნისტიდან 550 დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს. 1.892 კაცი პოლიტწრეგზა და პოლიტსკოლებში მეცადინეობს. მაგრამ პროფკავშირისტული მუშაობა მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის არის, რომ უფრო მეტად გაამლიეროს ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთადმი, ამაღლოს სწავლების ხარისხი და მიაღწიოს იმას, რომ კადრების პოლიტიკური განათლება შეხამებული იყოს პრაქტიკულ მუშაობაში მათს სწორად აღზრდასთან.

ამხ. მ. ციხისთავის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი)

ამხანაგებო! მე მინდა ყრილობას მოვახსენო იმ მუშაობის შესახებ, რასაც ჩვენი რაიონის მშრომელები იწევენ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. უწინარეს ყოვლისა მინდა შევეხერე პირველად პარტიული ორგანიზაციებს, როგორც ჩვენი პარტიის საფუძველს, როლზე, რადგან ისინი აკავშირებენ მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის მასებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან.

ჩვენი რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ამის შედეგად უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან კომუნისტები. კომუნისტთა იდეური აღზრდით ჩვენ შევძელით მიგვეღწია იმისათვის, რომ კომუნისტები ყოველი ახალი წამოწყების ინიციატორები არიან.

საუკეთესო მუშაობის ნიმუშს იძლევა ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლის მდივანია სამამული ომის მონაწილე ი. საზანიშვილი. აქ კომუნისტთა 91 პროცენტი მუშაობს ბემინდვრეობაში, დანარჩენი კი მეცხოველეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში.

მემინდვრეობაში მოიშალე 19 კომუნისტს მიეხილი ჰქონდა 18 ჰექტარი სიმინდი. გეგმით გათვალისწინებული 540 ცენტნერის ნაცვლად მათ მოიყვანეს 920 ცენტნერი სიმინდი ანუ თვითეული ჰექტარზე 51 ცენტნერი. თვითეულმა კომუნისტმა მოსავლიანობის გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, რის შედეგადაც 19 კომუნისტიდან მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღებისათვის შრომის დამატებითი საზღაური მიიღო 16 კაცმა — 140 ცენტნერის რაოდენობით. თვით პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ი. საზანიშვილმა მიიღო 1.281 კილოგრამი სიმინდი. ამ კოლმეურნეობაში 19 კომუნისტის მიერ მოყვანილი სიმინდი 302 ცენტნერით მეტია 1940 წელს ამ კოლმეურნეობაში მთლიანად მიღებულ სიმინდზე, როდესაც კოლმეურნეობაში 670 მუშახელი იყო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით ამ კოლმეურნეობაში მომუშავე 6 კომუნისტი, ე. ი. კომუნისტთა 3 პროცენტი, დაჯილდოებული იქნა მთავრობის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ლენინის ორდენით ორი კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — სამი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კომუნისტ ამხ. ბუჯიაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ასევე კარგი მუშაობის ნიმუშებს იძლევიან კომუნისტები რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

ყვარლის რაიონის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. თუ 1940 წელს მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 4 ცენტნერს შეადგენდა, 1947 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 12,3 ცენტნერი, ე. ი. სამჯერ მეტი 1940 წელთან შედარებით. მოუხედავად არაჩვეულებრივი გვალვებისა, 1948 წელს მიღებულ იქნა 8,1 ცენტნერი მარცვლეული, ე. ი. 1940 წლის მოსავალზე ერთორად მეტი. კარგი მაჩვენებლები გვაქვს თამბაქოს და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების დარგში. 1940 წელს ჰექტარზე მიღებული 5 ცენტნერის ნაცვლად 1948 წელს თვითეული ჰექტარზე 11,5 ცენტნერი თამბაქო მოვიწიეთ. თამბაქოს მოსავლიანობის გეგმა შეასრულეთ 116 პროცენტით, დამზადებია კი — 127 პროცენტი. აქრიგად, 1948 წელს თამბაქოს მოსავლიანობა 1940 წელთან შედარებით ერთიორად მეტია. ყურძნის მოსავლიანობა კი 1940 წელთან შედარებით 1948 წელს რვაჯერ და მეტად გაიზარდა. ჩვენი რაიონი ყოველწლიურად პირნათლად და გადაჭარბებით ასრულებდა მარცვლეულის, ხორცის, ბრეშუმის, თამბაქოს და სხვა სავალდებულო ჩაბარების გეგმებს. საკმარისია ითქვას, რომ სახელმწიფოსთვის მარტო მარცვლეულის ჩაბარება 1948 წელს 1940 წელთან შედარებით ოთხჯერ გაიზარდა. სახელმწიფოსთვის 1947 წელს თამბაქოს, ყაზანლიყის ვარდის, ყურძნისა და აბრეშუმის ძოსავლის ჩაბარების ანგარიშში რაიონის კოლმეურნეობებმა მარტო პრემიის. სახით 1.221 ათასი მანეთი მიიღეს.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის განმტკიცების შედეგად გაიზარდა კოლმეურნეთა დაინტერესება საკოლმეურნეო საქმით. ამის შედეგად უფრო ამაღლდა კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულებაც. საგრძნობლად გაუმჯობესდა კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებიც. მარტო ომისშემდგომ პერიოდში რაიონში აშენებულია 6 საკოლმეურნეო კლუბი, 5 სასოფლო საბჭოში გამოყენილია ახალი წყალსადენი 25 კილომეტრი სიგრძისა, ელექტროფიცირებულია 4 სასოფლო საბჭო. აქკამდე გავაზის სასოფლო საბჭოში მთავრდება ჰიდროელექტროსადგურის აგება, რომელიც მომსახურებას გაუწევს 623 კომლს.

მიღწეულებთან ერთად ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ახასიათებს, სერიოზული ნაკლოვანებები: კოლმეურნეობათა მცირე ნაწილში დაბალია შრომის დისციპლინა, აქ ნაკლოვანებად გვაქვს მოძრავი შემადგენლობის — ლოკომოტივებისა და ვაგონების გამოყენებაში. ძართალია გასულ წელს ბაბან უნნიშვნელოვანესი ძაჭვეზებლის — ვაგონთა მიმოქცევის მხრივ გეგმის შესრულების დონეს მიაღწია და 1947 წელთან შედარებით მიმოქცევა 8 საათით დაჩქარა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ჩვენს სადგურებში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ძოძრავი შემადგენლობის დაყოვნებისა და ვაგონების მოცდენის ნორმების შეუსრულებლობის ფაქტები. ამ მოცდენის მნიშვნელოვანი ნაწილი თვით ჩვენი — რკინიგზელების ბრალია. მაგრამ დღემდილი ვერ აუფლია გვერდის იმ ფაქტსაც, რომ რკინიგზის ტრანსპორტის ბევრი კლიენტი, რომელნიც დატვირთვის ოპერაციებს თავიანთ მისაწვლელ გზებზე და საწყობებში აწყ ბოებენ, უხეშად არღვევენ ვაგონთა მოცდენის სახელშეკრულებო ვადებს და უდიდეს ზიანს აყენებს მძძოძრავი შემადგენლობის გამოყენების საქმეს. ასეთ კლიენტთა სიაში პირველი ადგილი უკავიათ „ლაკმეკას“ და „ზაგოზერნოს“, „ბელეკეფტფესანის“, ხორცისა და ძროის მრეწველობის სამინისტოს საწარმოებს, რუსთავის მეტალურგმშენს, ტყიბულქვანახშირის ტრესტს და სხვებს.

გზის წინაშე მდგომი უკლებლივ ყველა ამოცანა მით უფრო სწრაფად და წარმატებით შესრულდება, რაც უფრო მაღალი იქნება ჩვენი კადრების იდეური დონე და რაც უფრო კარგად იქნებიან ისინი შეიარაღებულნი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით.

იდეოლოგიური მუშაობის გასაძლიერებლად, კულტურისა და დისციპლინის ამაღლებლად, შემოქმედებითი ინიციატივის განსავითარებლად და სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად რკინიგზელთა ფართო მასების ეფექტიანი დასარეზმავად ტრანსპორტზე შექმნილია პოლიტგაყოფილებანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ რკინიგზის საწარმოთა მუშაობას. ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში მუდამ ვგრძნობთ საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების, თბილისის, ქუთაისისა და ფოთის საქალაქო კომიტეტების, ლენინის რაიკომის (ქალაქი თბილისი), ზესტაფონის, ზაშერის, სამტრედიისა და სხვა რაიკომების მტკიცე დახმარებას. ამ დახმარებაზე დაყრდნობით გზის პოლიტგანყოფილება უეჭველად შეასრულებს მისთვის დაკისრებულ სერიოზულ ამოცანებს, რაც შესაძლებელს გახდის რკინიგზის მუშაობის ახალ საფეხურზე აყვანას.

ამიერკავკასიის გზა საბჭოთა კავშირის რკინიგზების ელექტროფიკაციის პიონერია. ჯერ კიდევ 1932 წელს ლენინური პაკეტს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით და მისი უშუალო დახმარებით ელექტროფიცირებულ იქნა სურამის უღელტეხილი.

გზის კოლექტივი მოახსენებს XIV ყრილობას, რომ დღეისათვის ელექტროფიცირებული უბნების სიგრძე თითქმის 200 კილომეტრით გადიდდა. ჩვენ ამოცანად ვისახავთ მთელი ამიერკავკასიის გზის სრულ ელექტროფიკაციას. გზის ელექტროფიკაციაზე გაწეული ხარჯი 3-4 წელიწადში ანაზღაურდება და უდიდესი რაოდენობით დაუზოგავს სახელმწიფოს თხეკად სათბობს.

ელექტროფიკაციის გეგმა, რომელიც ამჟამად ხორციელდება, ენინგზას რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ერთ-ერთ უდიდეს მომხმარებლად გახდის. ამიტომ მომწიფდა საკუთარი ენერგეტიკული ბაზის მშენებლობის საკითხი. ამ გეგმის განხორციელებას ჩვენ ვიწყებთ წელს შორეტსის აგებით.

მარკანეცის მოპოვების ზრდა აყენებს ჰიდროთა-ზესტაფონის ფართოლაბორატორიული რკინიგზის გაყვანის გადაუდებელ ამოცანას. ამ ხუთწლედშიე ენ უნდა შეკეთდეს ახალი გზის გაყვანას არსებული პროექტის მიხედვით. გადაუდებელი ამოცანაა აგრეთვე შავი ბლეის ხაზის დამთავრება.

ძომავალ ორ წელიწადში უნდა დაეამთავროთ სურამის ეფელტეხილზე, აგრეთვე ზესტაფონ-სამტრედიის უბანზე ავტობლოკირებისა და რელეცენტრალიზაციის მოწყობა.

ამასთან ერთად ბვთვალისწინებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები სალიანდაგო მეურნეობის განმტკიცების, სადგურთა განვითარების, ეკონომიმწყობის, კავშირგაბმულობის საშუალებათა სრულყოფის დარგში.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ მთელი ჩვენი მიღწევები როგორც საექსპლოატაციო მუშაობაში, ისე ახალი ტექნიკით გზის აღჭურვის უმნიშვნელოვანეს საქმეში, განყოფილად არის დაკავშირებული საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სახელთან, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს რკინიგზის ტრანსპორტის საჭიროებებს და ყოველდღიურად უდიდეს დახმარებას გვიწევს გზის აღმავლობისა და განვითარების საქმეში.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე ყრილობას, რომ რკინიგზელები კვლავაც იქნებიან პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში და პირნათლად შესრულებენ ყველა თავიანთ ვალდებულებას სამშობლოს წინაშე.

ამხ. ს. იმხანოვის სიტყვა

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

ამხანაგებო! საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო ძოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა დიდი ყურადღება დუთმო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ სწრაფად მზარდ დარგს—ქვანახშირის მრეწველობას. საქართველოს ქვანახშირის საძიებელი, შახტმშენებელი და განსაკუთრებით ქვანახშირის მოპმოებელი ორგანიზაციების სამეთანხმო სავსებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. მე მინდა შევეხო საქართველოს ქვანახშირის ორგანიზაციების მუშაობის ზოგიერთ საჭირობორტო საკითხს. ყრილობის დელეგატებს მოეხსენებათ, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საკავშირო თავრობამ და ამხანაგმა სტალინმა საქართველოს ბოლშევიკებს დაუსახეს რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მოთხოვნილების, ყველაფერ რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის საჭიროების საქართველოს სსრ საბადოების ქვანახშირით სრული უზრუნველყოფის ამოცანა.

ამ დიდი ამოცანის განხორციელება მოითხოვს ეკონომიგიურ-სადაზვერვო და ეკოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ყოველმხრივ განვითარებასა და გაძლიერებას არსებულ საბადოთა მარგის გასადიდებლად და ქვანახშირის ახალი რაიონების, ახალი საბადოების გამოსავლინებლად ჯერჯერობით მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს შახტების მშენებლობას, რაც საქართველოს ქვანახშირის საბადოებში მიმდინარეობს. ეს არის უმთავრესად ახალი შახტებისა და ეგრეთ წოდებულ მიწისზედა სამრეწველო ნაგებობათა, აგრეთვე მეშახტეებისათვის ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა მშენებლობა.

„საქშახტმშენის“ სამმართველომ, რომელიც შახტების მშენებლობას ეწევა, 1948 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა. ამის შედეგად ან თავისი არსებობის მანძილზე პირველად შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა. ეიუხედავად ამისა, სამმართველოს და მისი სამშენებლო ტრესტებისა და კანტორების მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. წლითიწლობით არ სრულდება სამთო სამუშაოთა გეგმა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „საქშახტმშენი“ თითქმის ვერასოდეს ვერ აბერხებს დადგენილ ვადებში გადასცეს შახტები საექსპლოატაციოდ. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა სამშენებლო და სამთო სამუშაოთა შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. განსაკუთრებით ჩამორჩება მიწის სამუშაოთა მექანიზაცია, დატვირთვა და გამოზიდვა სამთო-სათხრეო სამუშაოებზე.

„საქშახტმშენის“ მუშაობის მეორე დიდ ნაკლად მე მიმაჩნია ამ ორგანიზაციის მიერ შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა, განსაკუთრებით მიწისზედა ნაგებობათა და ბინების, ჯერ კიდევ დაბალი ხარისხი. ამ უკანასკნელ ხანს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ამ საკითხის განხილვის შემდეგ, „საქშახტმშენმა“ ეს საქმე რამდენადმე გაუმჯობესა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს ქვანახშირის რაიონებში საბინაო მშენებლობა. 1946-1948 წლებში საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხაზით ფაქტიურად აგებულია 38.300 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ გეგმის მხოლოდ 51 პროცენტი. აქედან „საქშახტმშენის“ სამმართველომ ააგო და საექსპლოატაციოდ გადასცა მხოლოდ 23.751 კვადრატული მეტრი, რაც შეადგენს გეგმის 39,1 პროცენტს. მართალია, 1948 წელს „საქშახტმშენმა“ ბევრად მეტი საცხოვრებელი ფართობი გადასცა საექსპლოატაციოდ, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ დაწესებული გეგმა ძაინც არ შესრულებულა.

„საქშახტმშენის“ ხელმძღვანელმა ამხანაგებმა მარიახინმა და კურნეკოვმა უმოკლეს ვადაში უნდა აღმოფხვრან თავიანთი მუშაობის ეს დიდი ნაკლოვანებანი.

„საქშახტმშენი“ ამჟამად მძლავრი, კარგად აღჭურვილი სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელსაც მოეპოვება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მუშების კარგი კადრები, მათ შეუძლიათ თავი გაართვან დიდ და სერიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასახულია 1949 წლის სახელმწიფო გეგმით, კერძოდ, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მშენებლობის დამთავრება და ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების გადაცემა საექსპლოატაციოდ, როგორიცაა ტყვარჩელის № 4 შახტი, ახალციხის № 3 შახტი, ტყვარჩელის ცენტრალური ქვანახშირგამაუხვებელი ფაბრიკის პირველი რიგი, ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი, შაორის წყალსადენის პირველი რიგი. აგებულ და საექსპლოატაციოდ გადაცემულ უნდა იქნას 20 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მეშახტეებისათვის.

1948 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ერთიორად და უფრო მეტად გაადიდა მოპოვება. მაგრამ, კომბინატი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელიწადს აძლიერებს ქვანახშირის მოპოვების ტემპს, სახელმწიფო გეგმას ვერ ასრულებს. ამის მიზეზი ამომწურავად გაამუქა ამხანაგმა ჩარკვიანმა.

ჩვენი ქვანახშირის მომპოვებელი შახტებისა და ტრესტების მუშაობის პრაქტიკაში ღრმად გაიდგა ფესვები არათანაბარი მუშაობის მანკიერმა სისტემამ, რასაც თვალნათლივ მოწმობს 1948 წელს ქვანახშირის მოპოვების შესახებ ყოველთვიური ცნობები.

მოპოვების მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოების გეგმის სისტემატიური შეუსრულებლობა.

უკანასკნელი სამი წელი ზედიზედ მთლიანად არ სრულდება მოსამზადებელ სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა და, რაც განსაკუთრებით შეუწყარებელია, ძირითად სამთო გამოსაყენებელთა გათხრის ტემპი მკვეთრად ნელდება. ეს გარემოება, ბუნებრივია, იწვევს როგორც საერთო, ისე სანგრევის მოქმედი ხაზის შემცირებას, სამთო გამონამუშევართა ფრონტის შემცირებას, რაც სამოლო ანგარიშით უარყოფით გავლენას ახდენს ქვანახშირის მოპოვებაზე.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლეულის განვლილ სამ წელიწადში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში მარტო საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხაზით დანაწილებულია 350 მილიონზე მეტი მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში ქვანახშირის მუშაკთათვის ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების ასაგებად დახარჯულია 50 მილიონზე მეტი მანეთი. ჩვენი ქვანახშირის შახტები საკმაოდ არიან აღჭურვილი უახლესი და ურთულესი მექანიზმებით და სატრანსპორტო საშუალებებით. გაუჯობესდა შახტების, საწარმოებისა და ახალშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, განუხრელად უმჯობესდება მეშახტეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა.

ქვანახშირის შახტებს, საწარმოებსა და ახალშენებლობებს დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები.

მიუხედავად ამისა, ქვანახშირის შახტების, საწარმოებისა და ახალ მშენებლობათა ხელმძღვანელები, ქვანახშირის საექსპლოატაციო შახტმშენებელი ტრესტების ხელმძღვანელები, აგრეთვე საქართველოს ქვანახშირის კომბინატი და „საქშახტმშენის“ სამმართველო სრულად ვერ იყენებენ ამ დახმარებას. ისინი დაეჩვევნენ, რომ ქვანახშირის გეგმის შეუსრულებლობა ახსნან მუშახელისა და საცხოვრებელი ფართობის ნაკლებობით. მაგრამ ჩამორჩენის მთავარი და ძირითადი მიზეზი ეს როდია.

თუ უბნებზე სწორად გაგანაწილებთ ადამიანებს, უნარიანად მოიაწყობთ მათს შრომას. მიწისზედა სამუშაოებზე დაბნედებული ზედმეტ მეშახელი შახ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

(დასასრული)

ტებში ვამუშავებთ, კარგად მოვაწყოთ სოფმაბრიკო-საქარხნო სკოლების ათასზე მეტი მოწაფის საწარმოო პრაქტიკას, ვვეძენება არა ნაკლებობა, არამედ, თუ გნებავთ, ერთგვარი სიჭარბე მუშებისა მიწისქვეშა სამუშაოებზეც კი. ხოლო თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ ნარდად მომუშავე მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი 1948 წლის მანძილზე სისტემატურად ვერ ასრულებდა გამომუშავების ნორმებს, ნათელი გახდება, თუ როგორენ დასაბუთებულია საქართველოს ქვანახშირის შახტების, ტრესტებისა და კომბინატის ხელმძღვანელთა მტკიცება, რომ ქვანახშირის მოპოვების გეგმის შეესრულებლობა მხოლოდ მუშახელის ნაკლებობით აიხსნებათ.

ამრიგად, ჩამორჩენის მთავარი მიზეზები უნდა ვეძებოთ ძირითადად ხელმძღვანელების პრაქტიკაში, საქართველოს ქვანახშირის შახტების, ტრესტებისა და, დასასრული, კომბინატის ხელმძღვანელთა მუშაობაში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მეშახტეები, შახტმშენებლები და ქვანახშირის საბადოების მაძიებლები გაითვალისწინებენ მათთვის დაკისრებულ მთელ პასუხისმგებლობას და ყველაფერს გააკეთებენ, რათა თავიანთი პატიოსანი და თავდადებული შრომით უზრუნველყონ ქვანახშირის ამოღება, ახალი შახტებისა და მეშახტეთა ბინების მშენებლობის, ქვანახშირის ახალი საბადოების დეტალური დაზვერვა-ძიების 1949 წლის გეგმების ბოლშევიკური შესრულება.

ამის საწინდარია ის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება, რომელსაც შახტებს, საწარმოებსა და ქვანახშირის ახალ მშენებლობებს უწევენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პირადად ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

განახორციელებენ რა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის გრანდიოზულ სამუშაოთა გეგმებს, საქართველოს მეშახტეები, შახტმშენებლები და ქვანახშირის საბადოთა მზვერავები მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, ჩვენი მაესა და მასწავლებლის, კომუნიზმის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის—საყვარელი სტალინის წინაშე.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე დიდი მუშაობა გასწია რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. მან უზრუნველყო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სწრაფი ზრდა, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების შემდგომი აყვავება, მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ საბჭოთა სამშობლოსადმი და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი საქართველოს ბოლშევიკები თავიანთ XIV ყრილობაზე მოვიდნენ ერთიანნი, მონოლითური რიგებით, უფრო მჭიდროდ დარაზმულნი ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო შტაბის — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი ბელადისა და კომუნიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელის — მშობლიური სტალინის გარშემო.

ამხ. ვ. სიხარულიძის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ვახარაძის რაიკომის მდივანი)

მახარაძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ალმავლობის საქმეში.

სამამულო ომის პერიოდში და შემდგომ წლებში რაიონის სოფლის მეურნეობის 150 მოწინავე ადამიანი დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. 1947 წელს ჩაისა და მარცვლეულის მაღალი მოსავლის მიღებისათვის 11 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 55 კაცი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

კოლმეურნეობები კიდევ უფრო მეტად განმტკიცდნენ მეურნეობრივად, ორგანიზაციულად 'და პოლიტიკურად. კოლმეურნეობათა ალმავლობას საფუძვლად დაედო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარება და მათი შემოსავლიანობის შემდგომი ზრდა. თუ 1946 წელს — ომისშემდგომ პირველ წელს ჩვენ მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 5.661 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 1947 წელს მოკრიფა 2.546 ტონით მეტი, ხოლო 1948 წელს მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 11.356 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 5.695 ტონით მეტი, ვიდრე 1946 წელს, და 3.140 ტონით მეტი, ვიდრე 1947 წელს. ჩვენ საგრძნობლად გადავაჭარბეთ ომამდელ დონეს ხარისხოვანი ჩაის მოსავლიანობის საქმეში.

ბრიგადებისა და რგოლების შიგნით კოლმეურნეებისათვის პლანტაციების მიჩნევამ უფრო გააცხოველა სოციალისტური შეჯიბრება და გამოიწვია მოსავლიანობის საგრძნობი ზრდა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს, უფრო ფართოდ მოიწყო მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა და გავრცელება. გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლა ჩაის უხეში მოსავლისათვის, გაიზარდა მაღალმოსავლიანი ჩაის ფართობები.

რაიონში მრავლად არიან მოწინავე ადამიანები, რგოლები, ბრიგადები და კოლმეურნეობები, რომლებიც სანიმუშოდ უვლიან ჩაის პლანტაციებს და მაღალ მოსავალს იღებენ.

ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა. 1948 წელს უნდა გაგვეშენებინა 136 ჰექტარი, გავაშენეთ 139 ჰექტარი. მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული ჩაის პლანტაციების მეჩხერიანობის ლიკვიდაციისათვის, რაც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ სერიოზულ პირობას წარმოადგენს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების განხორციელების საფუძველზე ჩვენმა რაიონმა კარგ შედეგებს მიაღწია ციტრუსოვანი პლანტაციების მოსავლიანობის ზრდის საქმეში. 1940 წელს მახარაძის რაიონმა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 46.677.800 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1946 წელს—74.105.800 ცალი, ხოლო 1948 წელს—100.500.000 ცალი ნაყოფი.

1946-1948 წლებში მახარაძის რაიონში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 458 ჰექტარისა გაშენებულ იქნა 561,4 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია, მათ შორის ლიმონი 220,17 ჰექტარი, ნაცვლად 211,4 ჰექტარისა, ფორთოხალი 225,91 ჰექტარი, ნაცვლად 213,5 ჰექტარისა.

საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, ახალ ადგილებში ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების დაინერგვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების შესასრულებლად მახარაძის რაიონის მეცალრუსეებმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს; ისინი კონკრეტულ დახმარებას გაუწევენ ოდესის ოლქის კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ციტრუსების განვითარების საქმეში.

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების განვითარების საქმეში ჩვენი რაიონის წინაშე წელს დიდი ამოცანები დგას. მახარაძის რაიონმა, წინასწარი საორიენტაციო გეგმით, წელს უნდა მოკრიფოს 13.000 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. 3.893 ტონით მეტი, ვიდრე 1948 წელს გეგმით გვქონდა დასახული. 1949-1953 წლებში უნდა გაშენდეს 475 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მათ შორის მიდინარე წელს 100 ჰექტარი. 1949 წელსვე უნდა გაშენდეს 296 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია.

მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაციების სახელით პირობას ვაძლევ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას, რომ ყოველგვარ ღონისძიებას გავატარებთ და ზამდგომი ორგანოების დახმარებით უზრუნველვყოფთ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

ჩაისა და ციტრუსოვან კულტურებთან ერთად სათანადო ყურადღება ექცევა სხვა ტექნიკურ კულტურებს.

მახარაძის რაიონში ეფაალიპტის ნარგავების არასაკმარისი მოცალიპტირონობის შესახებ ჯერ კიდევ 1943 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე მოგვითითებდა ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ეკალიპტის გაშენების საქმეს. მარტო 1947-48 წლებში გაშენებულ იქნა 585.700 ძირი ეკალიპტი.

გაეუხერლად იზრდება კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავალი. თუ 1940 წელს რაიონში იყო 8 მილიონერი კოლმეურნეობა, 1946 წლისათვის ამ რიცხვმა 25-ს მიაღწია, 1947 წელს 29-ს, ხოლო 1948 წელს 40 კოლმეურნეობიდან 37 მილიონერი კოლმეურნეობაა.

ჩვენს რაიონში გარკვეული ხვედრითი წონა აქვს მრეწველობასაც. რაიონში არსებობს რესპუბლიკური დაქვემდებარების 11 საწარმო, საკავშირო დაქვემდებარების 1 და ადგილობრივი მრეწველობის 43 საწარმო. იბრძოდნენ რა თვითღირებულების შემცირებისა და ზეგეგმითი დაგრავებისათვის, რაიონის ამ საწარმოებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს.

მახარაძის რაიონის ჩაის ფაბრიკებმა 1948 წლის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულეს 126,5 პროცენტით, სახელმწიფოს მისცეს 5.361 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, მიაღწიეს საწვავისა და ელექტროენერგიის ეკონომიას.

მიუხედავად ამისა, რომ ადგილობრივმა მრეწველობამ წლიური გეგმა შეასრულა, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა კირის, აგურის და კრამიტის ქარხნების მუშაობას.

პარტიის რაიკომს და ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სერიოზული ღონისძიებების გატარება მოუხდებათ.

სერიოზული მუშაობაა გაწეული ხალაქარ მეურნეობის ხაზით. 1948 წელს დაიწყო და წელს უნდა დამთავრდეს ქალაქის კანალიზაციის ქსელის მშენებლობა. ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრის გადიდების მიზნით საქართველოს სსრ საგეგმოვნო მრეწველობის სამინისტრომ 1947 წელს დაიწყო ელექტროქვესადგურის მშენებლობა, რომელიც დასასრულს უახლოვდება. მისგან ენერგიას მიიღებს ქალაქი მახარაძე და რაიონის ჩაის ფაბრიკები. სერიოზული სამუშაოები განხორციელდა ქალაქის ქუჩების კეთილმოსაწყობად. მიუხედავად ამისა, ქალაქ მახარაძის კეთილმოწყობის საქმე მაინც არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ქ. მახარაძის კეთილმოწყობის საქმეს.

რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის, მასების შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის. პარტიული განათლების ყველა ფორმაში 3.987 კომუნისტიდან ჩაბმულია 3.760. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროპაგანდისტული კადრების მომზადებას. პროპაგანდისტებად მუშობენ პოლიტიკურად მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები.

პარტიული განათლების დაყენების საქმეში გაგვიჩინია ნაკლოვანებებიც, რაც სამართალად აღინიშნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოიმბრის პლენუმზე. რაიონის პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა უახლოეს დროში გამოასწორონ პარტიული განათლების ქსელში არსებული ნაკლოვანებანი.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ აქვთ დადაწყვეტილი კიდევ უფრო განამტკიცონ მოპოვებული წარმატებანი და 1949 წელს ახალი მიღწევები მოიპოვონ სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში.

ამხ. გ. ჩაჩიბაიას სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი)

ზუგდიდის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით მნიშვნელოვანი მიღწევებით შეეგება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობას.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და მისი შემადგენლობის რიცხობრივი და თვეობრივი ზრდა საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცებისა და შინაპარტიული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ნიშნით.

თუ XIII ყრილობისათვის რაიონში იყო 75 პირველადი პარტიული ორგანიზაცია 1.703 კომუნისტით, ამჟამად არის 154 პირველადი ორგანიზაცია 3.636 კომუნისტით. პირველადი პარტიული ორგანიზაცია შექმნილია ყველა კოლმეურნეობასთან, სასოფლო საბჭოსთან, საბჭოთა მეურნეობასთან, საწარმოსა და დაწესებულებასთან.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები მტკიცე პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კომუნისტების პოლიტიკური გაათვლისა საქმეს. 3.636 კომუნისტიდან პარტიული სწავლების ქსელში ჩაბმულია 2.825 ამხანაგი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესასწავლად დამოუკიდებლად მუშაობს 809 კომუნისტი. დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის შექმნილია მოდიფიცირებული სემინარები ენგელგრამალოდ ლომბინატის მუშაკებისათვის, სახელმწიფო სამაწყვალელო ინსტიტუტის ლექტორებისათვის, ექიმებისათვის, მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, რაიკომთან შექმნილია საღამოს პარტიული სკოლა და პარტიული და საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედი სემინარი.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩაბმულია პოლიტიკურად და თეორიულად მომზადებული 137 ამხანაგი. მათ შორის 40-ზე მეტი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკია. პროპაგანდისტებისათვის მოწყობილია ორი სემინარი.

კოლმეურნე გლეხობის კომუნისტურად აღზრდის, მათი საერთო კულტურული დონის ამაღლების საქმეში დიდ როლს ასრულებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. ჩვენს რაიონში არის ყველა პირობა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისათვის. მოწყობილია 19 სამკითხველო, 14 კლუბი, 3 ბიბლიოთეკა, სოფლის სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკებისათვის მარტო 1948 წელს შეძენილია 52.000 ცალი წიგნი. რადიოფიცირებულია 20 კოლმეურნეობა, შემოშავებულია გეგმა ყველა კოლმეურნეობის რადიოფიცირებისათვის.

ორგანიზაციულად და მეურნეობრივად განმტკიცდნენ რაიონის კოლმეურნეობანი, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ფულადი შემოსავალი, ამაღლდა კოლმეურნე გლეხობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ვენახის, თამბაქოს, სიმინდისა და სხვა კულტურათა მოვლა-პატრონობა.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა, ისე როგორც ყოველთვის, 1948 წელსაც გადამეტებით იქნა შესრულებული. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საუკეთესოდ მოაწყო ჩაის პლანტაციების მოვლა და მაღალი მოსავალიც მიიღო.

სიმინდის საშუალო მოსავალი ჰექტარზე გასულ წელს მიღებულ იქნა 15 ცენტნერი, მეტი, ვიდრე 1947 წელს. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით განაღდებასთან ერთად გასულ წელს მიღწეულ იქნა პირუტყვის პროდუქტიულობის გეგმის შესრულება 101,7 პროცენტით.

თუმცა ჩაის კრეფის გეგმა გადაჭარბებით არის განაღდებული და აიმინდის მოსავალიც საშუალოზე უკეთესია, მოსავლიანობის დაწესებული დავალება ჯერ მაინც შესრულებული არ არის. ამიტომ, როგორც ამას ამხანაგი ჩარკვიანი მიგვითითებს, რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანად რჩება მარცვლეულის მოსავლიანობის უფრო მაღალი.

ამხანაგმა ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა ჩაის მეურნეობის განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდების მეტად სერიოზული ამოცანა. ზუგდიდის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას შეგნებული აქვს ეს ღიდი და საპატიო ამოცანა. რაიონში ჩაის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 1948 წელს 1.300 კილოგრამს მიაღწია, მაგრამ ვფიცარ, რომ ეს მაინც დაბალია, რადგან არის სრული შესაძლებლობა იმისა, რომ პლანტაციების მოვლის აგროლონისძიებათა განხორციელებით მიღწეულ იქნას ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება. ხუთწლიანი გეგმით ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.500-3.000 კილოგრამამდე უნდა გავადიდოთ.

კოლმეურნეობათა განმტკიცება მეურნეობრივად გამოხატულებას პოულობს მათი ძირითადი საწარმოო საშუალებების და განუყოფელი ფონდების ზრდაში. 1942 წელს კოლმეურნეობებში ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება შეადგენდა 56.216.700 მანეთს, 1948 წელს კი შეადგენს 86.830.253 მანეთს. ზრდა ფლრის 53 პროცენტს. ამავე პერიოდში კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდი 42,8 პროცენტით გადიდდა. გაიზარდა შრომადღის ღირებულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში მარცვლეულ კულტურას უკავია 5.000 ჰექტარი სამეძანიზაციო ფართობი, ე. ი. მთელი სათესი ფართობის 71 პროცენტი. მტს-ის პარკის ძალა კი ყოფნის მხოლოდ 2.000 ჰექტარს, რაც სამეკანიზაციო ფართობის 40 პროცენტია. 1.500 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩვენში სამეკანიზაციო ფართობია, ხოლო მწკრივთაშორის კულტივაცია ხორციელდება 500 ჰექტარზე, რაც 33 პროცენტს შეადგენს.

კოლმეურნეობებში რომ მთლიანად იქნას თვისებული სამეკანიზაციო ფართობი, საჭიროა მტს-ის პარკი დაახლოებით ერთიორად გადიდდეს. ეს ღონისძიება გადაჭრით გადიდებს ჩაისა და მარცვლეულის მოსავლიანობას.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა შარშან კარგ შედეგს მიაღწიეს, მაგრამ მუშათა საცხოვრებელი ბინები ცუდ მდგომარეობაშია. ეს საფრთხეს უქმნის მომდინარე წლის საწარმოო გეგმების შესრულებას. აუცილებელია ჩატარდეს საბჭოთა მეურნეობების არსებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტი.

ენგურის ელექტროსადგურის და ქაღალდის კომბინატმა 1947 წლთან შედარებით 18 პროცენტით გაადიდა ქაღალდის გამოშვება. ელექტროსადგურის ბარშვის გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით, გამოშვებულია 25 მილიონი ცალი რეული. 1948 წელს მიღებულია 1.237.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ხუთწლიანი გეგმით ენგურის ელექტროსადგურ და ქაღალდის კომბინატში უნდა დაიდგას ქაღალდის მეკუთელი სამი მანქანა, აქედან მიმდინარე წელს ერთი მანქანა, ხოლო მომავალ წელს ორი. ამრიგად, 1950 წელს ენგურქაღალდკომბინატს ექნება ქაღალდის მეკუთელი 4 მანქანა, რომელთაც შეეძლებათ წელიწადში ერთისამად მეტი ქაღალდის გამოშვება, ვიდრე ამჟამად ფუნდს კომბინატი. კომბინატის გაფართოებასთან ერთად საჭიროა ნედლეულის საკითხის მოწესრიგება. საჭიროა სატყეო და ქაღალდის მრეწველობის საკავშირო სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი, რათა შეიმუშაოს პერსპექტიული გეგმა კომბინატის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის, გაითვალისწინოს კაპიტალური ღაბნდებანი ნედლეულის ახალი ბაზის შექმნისათვის მალემზარდი ხეების გაშენებით.

ჩვენი რაიონის ჩაის ფაბრიკებმა პროდუქციის გამოშვების გეგმა 109,7 პროცენტით შეასრულეს და 4.484.400 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცეს.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ზუგდიდის საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის. ყოველწლიურად იზრდება ასფალტბანი საქალაქო მეურნეობის, საზოგადოებრივი შენობების, კომუნალური და საწარმოო ნაგებობათა და ქუჩების მოწყობისათვის. უმჯობესდება მწვანე ნარგავთა მოვლა, მიმდინარეობს ჰიპოდრომ-სტადიონის მშენებლობა. მაგრამ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო უყურადღებოდ ტოვებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა წყალსადენის მშენებლობა. წყალსადენის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 1939 წელს. მუშაობაც დაიწყო, რაც ომიანობის დროს შეწყდა და დღემდე არ განახლებულა. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ უნდა გათვალისწინოს, რომ არ შეიძლება ქალაქ ზუგდიდის უწყალსადენოდ დატოვება.

ზუგდიდის რაიონის მშრომელები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით კვლავაც ძალების დაუზოგავად იმუშავებენ ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად განხორციელებისათვის.

ამხ. ი. კულუხოვის სიტყვა

(სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე)

საანგარიშო პერიოდში სამხრეთ ოსეთში შეიქმნა რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მთელი რიგი სამრეწველო ობიექტები.

უმნიშვნელოვანესი სამშენებლო ობიექტია კვაისმშენი — ჩვენი ოლქის მომავალი ძმიმე მრეწველობის კერა. ძირითადად მთავრდება მოსამზადებელი და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რათა ეს ობიექტი წელს გადაცემულ იქნას საეჭსპლოატაციოდ.

მნიშვნელოვნად განვითარდა ადგილობრივი მრეწველობაც. ოლქში ადგილობრივი მრეწველობის ძირითადი, ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტებია საწარმოები, რომლებიც საშენ მასალას უშვებენ: აგურის, კრამიტის, კირის ქარხნები, აგრეთვე ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც წლითიწლობით ზრდის ოლქის ანალმშენებლობათითვის პროდუქციის გამოშვებას.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული ახალი გზების გასაყვანად და არსებულის შეკეთებლად.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის დახმარებით აგებულია გორი-სტალინირის რკინიგზის ხაზი, რომელიც სამხრეთ ოსეთს აკავშირებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისთან და სხვა ქალაქებთან.

1936 წელს ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს ბოლშევიკებს დაუსახა ამოცანა: უზრუნველყოთ რესპუბლიკა საკუთარი პურით. ახორციელებენ რა ამ მითითებას, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არიან თესლითა და სუფსათით. ისინი ყოველწლიურად გადაჯარბებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმას.

ოლქის კოლმეურნეობები ფართოდ ახორციელებენ მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების თეორიებით. ბევრ ადგილებში ადგილობრივი ჯიშის ცხვარი ოლქის ადგილობრივ ადამიანებს ეწოდებოდა ბოლოდ ბოლოს ეს ცხვარი ოლქიდან ამოიღეს. ეს ცხვარი ოლქიდან ამოიღეს, ეს ცხვარი ოლქიდან ამოიღეს,

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კონფერენციის მანიფესტი გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 29 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკურ კონფერენციამ მიიღო მანიფესტი შრომელი გერმანელი ხალხისადმი. მანიფესტში ნათქვამია:

„ინგლისელმა და ამერიკელმა იმპერიალისტებმა გერმანელი ხალხის წინააღმდეგ ეხლანდელ ძალადობის ახალი აქტები ჩაიდინეს. ლონდონში მიღებული რურის სტატუტის შედეგად დასავლეთ გერმანიის სამრეწველო ოლქი მოგლიჯეს გერმანიის სამეურნეო ორგანიზმს და დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ კონტროლს დაექვემდებარეს. „სამხედრო უშიშროების საბჭოს“ შექმნის გამო სამხრეთი და დასავლეთი გერმანიის მთელი მრეწველობა ამერიკელ მონოპოლიებს ჩაუგრდათ ხელში.

ახლა დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები ეშმაკობენ თავს მოიხვიონ გერმანელ ხალხს საოკუპაციო სტატუტი, რომლის თანახმად დასავლეთი საოკუპაციო ზონები ათეულ წლობით უნდა დაექვემდებარონ სამხედრო დიქტატურას. მთელი ეს ღონისძიებანი ნავარაუდევია იმისათვის, რომ დაამთავრონ გერმანიის დანაწილება, მოფსონონ გერმანელ ხალხს შეშფოთება, რომელიც მას ეუცე დიდი ხანია სწუხია,„ და მთელი სამხრეთ-დასავლეთი გერმანია გადაიქცინონ ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიურ ოლქად“.

მანიფესტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რურის ოლქი„ა და მისი ქვანახშირის სიმდიდრისა და მრეწველობის უქონლად ან შეიძლება განვითარდეს გერმანიის ერთიანი დამოუკიდებელი და სოციალისტურნარინი ეკონომიკა, რომელიც შეძლებდა მთელი გერმანელი ხალხის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

დასავლეთი ზონები რეგანმელიორინანი მოსახლეობა კოლონიურ დამონებას განიცდის. მშრომელთა აღშოსავლეთი ზონაში ბანაობა გერმანელი ხალხის ერთგნული ინტერესებისათვის ბრძოლაში. ამიტომ უნდა განვამტკიცოთ აქ განხორციელებული დემოკრატიული გარდაქმნანი.

აღმოსავლეთი ზონის გაერთიანებული მუშათა მოძრაობა, ანტიფაშისტურ-დემოკრატიული პარტიების ერთიანი ფრონტი და ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის მოძრაობა კომერტებები გადამწყვეტი ძალა გერმანიის შეიდობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლას უნდა შეუერთდეს ყველა გერმანელი, რომელსაც გელწრფელად ეფიარის თავისი ხალხი და ოავეის სამშობელო, რადგან ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის ბრძოლა გერმანელი ხალხის სიცოცხლის უფლებისათვის ბრძოლაა. დოლარის იმპერიალიზმის კლანებებიან ერის განთავისუფლება ჩვენი ხალხის ყველა დემოკრატიული და პროგრესული ძალების უმაღლესი ვალი“.

მანიფესტში მოეწოდებს გერმანელი ერის მთელ ჯანსაღ ძალებს გაერთიანდნენ გერმანიის სახალხო კონგრესის მოძრაობად, რათა ეცხოვიის იმპერიალიზმისა და მის გერმანელ ხელშემწყობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიაღწიონ გერმანელი ხალხის სამართლიან მოთხოვნათა შესრულებას.

„შუშთა კლასს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეთაურთნი წოლად ხედავ ისტორიული ამოცანა — ხელმძღვანელობა გაუწიოს ერთიანობისა და ხსნის ეროვნულ მოძრაობას. ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის მოძრაობაში მუშათა კლასი გამოეცდაც ყავრნის მშრომელ გლეხობასთან, საშუალო წოდებასთან და მეცნიერებასა და ხელოვნების პროგრესულ მოღვაწეებთან“.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კონფერენცია მოითხოვს გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიური ერთიანობისა აღდგენას და სრულად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნას; რურის საკონტროლო ორგანოს ლიკვიდაციას და რურის ოლქის მოქცევას ერთიან დემოკრატიულ გერმანიაში; მიწის დემოკრატიული რეფორმის განხორციელებას და მთელ გერმანიაში სამხედრო და ნაცისტ დანაშაულთვის მკნენის ჩამორთმევას; ისეთი კულტურული ცხოვრების განვითარების შესაძლებლობას, რომელიც შეესაბამება გერმანელი ხალხის პროგრესულ ტრადიციებსა და მოთხოვნილებებს.

კონფერენცია პროტესტს აცხადებს საოკუპაციო სტატუტის წინააღმდეგ და მოითხოვს დადებულ იქნას დემოკრატიული ზავი გერმანიის მთავრობასთან და საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გაყვანილ იქნან მთელი საოკუპაციო ჯარები.

„ამ სამართლიან მოთხოვნებს, — ნათქვამია მანიფესტში, — ენერგიულად უშერენ მხარს სოციალისტების დიდი სახელმწიფო — საბჭთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალები. ეს მოთხოვნები შეესაბამება საგარეო საქმეთა მინისტრების ვარშავის კონფერენციის გადაწყვეტილებებს“.

დასასრულ მიმართავენ ნათქვამია: „გაეუწოდეთ ხელი მტკიცე სამრძოლო კავშირისათვის იმათ, ვინც ჩვენს ხალხს ეხმარება სოციალისტიკა და მომავლისათვის წარმოებულ მის მძაფე ბრძოლაში! მთელი გერმანელი ხალხი უნდა შეუერთდეს დემოკრატიისა და შვიდობის ბანაკს რეკვიციისა და ომის ბანაკის წინააღმდეგ ბრძოლისათვის! საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარეზე უზრუნველყოფილია ჩვენი სამართლიანი საქმის წარმატება!“.

ПРОТЯЖАЗИРТА МЕОПЗЕЛИО ЗЕДЕРАЦИИНА ОЛДАСКРУЛЗОБЕЛИ КОМИНЗЕЗИНА СЕСИЕЗА

ЗАКАРИЗ, 31 ОАНЗАРИ. (ЗАЗДЕСЕС). ФРАНСЕ ПРЕСЕС ЗАЗАЗЕРИЗ ДАЗЗИМАЗЕЦЕДЕ:

ДЕЗЕЗ ДЕЗЕЗЕ 3. З. ЗЕЗЕЗЕЗЕЗЕ ОЗЕЗИЗ ЗИМАЗЕЗЕЗЕЗЕ-РЕЗЕЗЕ ЗЕЗЕ ПРОТЯЗИРТА ЗИЗАЗЕЗЕ ЗИМАЗЕЗЕЗЕЗЕ ЗЕЗЕЗЕЗЕЗЕ ЗЕЗЕЗЕЗЕЗЕ